ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3982613

ნომერი: AR1590139

თარიღი : 01.05.2018

გაცემის თარიღი : 28.05.2018

გაცნობის თარიღი : 28.05.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 24ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი გუჯაბიძე პ/ნ 01017016591
- მეტეხის 22

ორგანიზაცია:
- შპს მოსკოვის პროსპექტი კოდი: 404480101

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 13 აპრილის AR1590139 განცხადება, რომლითაც ითხოვთმიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.34.002.190) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას,

კიდევ ერთხელ გაცნობებთ, რომ აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1). მოქმდი კანონმდებლობის შესაბამისად, იმ შემთხვევში, თუ მრავალფუნქციური შენობა შეიცავს საცხოვრებელ ფუნქციასაც, (განურჩევლად პროცენტულობისა) საკითხი საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, ამისთვის უნდა მიმართოთ ქ. თბილისის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განცხადება ატვირთოთ საიტზე: https://urban.tbilisi.gov.ge შესაბამის ნომენკლატურაში. სპეციალური (ზონალური) შეთხმების მიღების შემდეგ, არქიტექტურის სამსახური შეძლებს აღნიშნულ ტერიტორიაზე სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.